



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 388

თბილისი

„21“ 04 2015წ

2015-2016 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე მართვის ავტომატიზებული საშუალებებით რეგისტრაციის ვადისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 06 იანვრის N05/წ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 21 აპრილის N304303 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე მართვის ავტომატიზებული საშუალებებით რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2015 წლის 23 აპრილიდან 2015 წლის 04 მაისის ჩათვლით იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის:

- ა) რომლის და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;
- ბ) რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია;
- გ) რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოსწავლეებისათვის განისაზღვროს 2015 წლის 05 მაისიდან 2015 წლის 13 მაისის ჩათვლით.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე მართვის ავტომატიზებული საშუალებებით რეგისტრაციის ვადად იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც ვერ დარეგისტრირდებიან ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში განისაზღვროს 2015 წლის 15 მაისიდან 2015 წლის 09 ივნისის ჩათვლით.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოსწავლეებისათვის განისაზღვროს 2015 წლის 11 ივნისიდან 2015 წლის 21 ივნისის ჩათვლით.

5. ამ ბრძანების მე-2 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წარუდგენლობის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განთავსდებულ ადგილებზე მოსწავლის რეგისტრაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად განისაზღვროს 2015 წლის 22 ივნისიდან 2015 წლის 11 ივლისის ჩათვლით.

6. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

7. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი



21.04.2015/ლელა შეწირული/


შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსთან




/ლანა ხუნაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან




/დავით ლომინაშვილი/

ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან



/ქეთევან გრიგოლია/

მინისტრის მოადგილესთან



/ლია გიგაური/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
2. ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.